

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კატალოგი



2018წ.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის
საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.


განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდამჭერი



მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები: მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში - Third level vocational qualification in Information Technology Support;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება - „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“ (კოდი 0612).

პროგრამის მიზანი: ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდის უზრუნველყოფა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა: 11 თვე

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისანიჭებლად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 60 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 20 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 24 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. სწავლების ხანგრძლივობაა 11 სასწავლო თვე.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 75 კრედიტი, რომელთაგან 31 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის ქართული ენა A2 მოდული), 20 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 24 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. სწავლების ხანგრძლივობაა 13 სასწავლო თვე.

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3


საქართველო, ქ. თბილისი 0178, გურამიშვილის ჩიხი. 9ა, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“,

ტელ. 214 76 67, ელ-ფოსტა mermisicollege@gmail.com. ვებგვერდი www.mermisicollege.edu.ge

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

3.	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
4.	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
5.	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2
6.	უცხოური ენა	საბაზო განათლება	4
7.	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	7
8.	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	6
9.	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	საბაზო განათლება	7
10.	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	საბაზო განათლება	1
11.	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ყველა პროფესიული/დარგობრივი მოდული	6
12.	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	საბაზო განათლება	7
13.	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	საბაზო განათლება	4
14.	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	საბაზო განათლება	6
	ქართული ენა A2	საბაზო განათლება	15

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი



მისანიჭებელი

პროფესიული

კვალიფიკაცია: ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიებში დარგის სპეციალისტად, ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, რომელიც შეძლებს თანამედროვე ინდივიდუალური და მასიური წარმოების პირობებში ტყავისა და ტყავის შემცველი მასალისაგან სხვადასხვა სირთულის ფეხსაცმლისა და აქსესუარების დამზადებას.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზის შექმნა
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგება
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 97 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 19 სასწავლო თვე

ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 97 კრედიტი, რომელთაგან 17 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 80 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 127 კრედიტი, რომელთაგან 47 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული და 15 კრედიტი ქართული ენის B1 მოდული, ჯამში 30 კრედიტი), 80 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები. სწავლის ხანგრძლივობა 21 სასწავლო თვე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
რაოდენობრივი წიგნიერება	2	გაცნობითი პრაქტიკა-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	2		
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	საწარმოო პრაქტიკა-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	12		
მეწარმეობა 2	2	პრაქტიკული პროექტი-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	6		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	უსაფრთხოების წესების დაცვა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოებისას	1		
უცხოური ენა - ინგლისური	5	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	5		
სამოქალაქო განათლება	2	ფეხსაცმლისა და აქსესუარების კომპოზიციის შექმნა	5		
		ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების მასალების შერჩევა და გამოჭრა	3		

		ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწადის მოდელირება/ კონსტრუირება	8		
		ჩექმისა და წადის მოდელირება/ კონსტრუირება	8		
		ტყავის აქსესუარების მოდელირება/ კონსტრუირება	7		
		ფეხსაცმლის ნამზადის კერვის ტექნოლოგია	8		
		ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია	8		
		ტყავის აქსესუარების ტექნოლოგია	7		
სულ:	17	სულ:	80		
ქართული ენა A2	15				
ქართული ენა B1	15				

დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ელექტროენერგიის მწარმოებელ, გადამცემ, გამანაწილებელ და მომხმარებელ ობიექტებზე ინჟინერ-ენერგეტიკოსის უმაღლო ზედამხედველობით. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმებაც.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია პირს მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლოს ელექტრიკოსის სპეციალობისათვის საჭირო ცოდნას, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ზოგად ელექტროტექნიკაში გარკვევა და ელექტროტექნიკური გაზომვების შესრულება;
- შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა ელექტროსამუშაოებისას;
- საზეინკლო ოპერაციების შესრულება;
- ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა;
- ელექტროტექნიკური მასალების შერჩევა;
- ელექტრომანქანებისა და ელექტროდანადგარების დიაგნოსტიკა;
- ელექტროდანადგარებისა და ქსელების მონტაჟი;
- ელექტროდანადგარებისა და ქსელების გეგმური და არაგეგმური რემონტი;

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 105 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი კომპეტენციების მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	2	ელექტრონული სისტემები, მონტაჟი და ექსპლუატაცია	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	8	ელექტროენერგიის აღრიცხვა	3
საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი დაბალი ძაბვის ელექტრიკოსისათვის - ელექტროდანადგარების (ტრანსფორმატორი, ძრავა, გენერატორი) დიაგნოსტიკა, არაგეგმიური რემონტი და მონტაჟი	5	შენობა-ნაგებობების ელექტრომონტაჟი	4
მეწარმეობა	4	ზოგადი ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკური გაზომვები	7	სანათი მოწყობილობების მონტაჟი	2
პიროვნული და ინტერპერსო- ნალური უნარები	1	შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა ელექტრო	3	საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მონტაჟი და	2

		სამუშაოებისას		რემონტი	
უცხოური ენა - ინგლისური	4	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2		
ქართული ენა	15	ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა	6		
სამოქალაქო განათება	2	ელექტროტექნიკური მასალების შერჩევა	2		
		ელექტრომანქანები და ელექტროდანადგარების დიაგნოსტიკა	7		
		ელექტრო- დანადგარებისა და ქსელების მონტაჟი	7		
		ელექტრო- დანადგარებისა და ქსელების გეგმური და არაგეგმური რემონტი	8		
სულ:	32	სულ:	57	სულ:	16

თექის ოსტატი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: *თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია*

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შესაბამის საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება.

პროგრამის მიზანი: მოამზადოს თექის ოსტატი, სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით, ქიმიური ან ბუნებრივი საღებავებით შეღებილი მატყლის საშუალებით კურსდამთავრებულმა შეძლოს ტრადიციული და თანამედროვე ხელნაკეთი ნივთების/პროდუქციის დამზადება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაოს ორგანიზება
- შრომის უსაფრთხოების დაცვა თექის წარმოებისას
- ნედლეულის (მატყლის) მომზადება
- ესკიზის შექმნა
- მატყლის დაფენა
- მატყლის თელვა სიბრტყეზე
- მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 66 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 14 სასწავლო თვე

თექის ოსტატის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 83 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები, 50 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 81 კრედიტი, რომელთაგან 31 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული), 50 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები. სწავლის ხანგრძლივობა 17 სასწავლო თვე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
რაოდენობრივი წიგნიერება	2	გაცნობითი პრაქტიკა-თექვის ოსტატი	2		
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	საწარმოო პრაქტიკა-თექვის ოსტატი	8		
მეწარმეობა 1	2	პრაქტიკული პროექტი-თექვის ოსტატი	5		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	სამუშაოს ორგანიზება - თექვის ოსტატისთვის	2		
უცხოური ენა - ინგლისური	4	მატყლის მომზადება	5		
სამოქალაქო განათლება	2	ესკიზის შექმნა	5		
		მატყლის თელვა სიბრტყეზე	8		
		მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე	8		
		შრომის უსაფრთხოების დაცვა თექვის წარმოებისას	2		
		ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	5		
სულ:	16	სულ:	50		
ქართული ენა A2	15				

ბუღალტერ-ტექნიკოსი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბიზნესერთეულებში, როგორც ბუღალტერი, საფინანსო სამსახურის (ბუღალტერიის) სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი (დამხმარე ბუღალტერი, რომლის სამუშაო ადგილი ბიზნეს ერთეულებში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუღალტრის მოადგილე, ბუღალტრის ასისტენტი და სხვ.) და ა.შ.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მისცეს პირს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის ზოგადი პრინციპებისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ძირითადი საკითხების ცოდნა.

გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, ბუღალტრული მონაცემების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშგების დახურვის, საშემოსავლო და დღგ-ის აღრიცხვის, საცდელი ბალანსის შედგენის, დანახარჯების კლასიფიკაციის, პერიოდიზაციისა და თვითღირებულების კალკულაციის, შიდა მენეჯმენტისთვის ანგარიშგების შედგენა-წარდგენისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გამოყენების უნარები;

შექმნას და გაამართლოს საზოგადოების მოლოდინი, რომ ამ პროგრამით მომზადებული სპეციალისტები დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკისა და კონფიდენციალობის დაცვით, აღჭურვილები იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების მოპოვებაში მონაწილეობა
- სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში და კომპიუტერული პროგრამისგამოყენებით

- შიდამოხმარების მიზნით (ოპერატიული მართვისათვის) ანგარიშგების მომზადება-წარდგენა
- საგადასახდო ვალდებულებების განსაზღვრასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მონაწილეობა
- პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 63 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 14 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტერ-ტექნიკოსი	2		
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ბუღალტერ-ტექნიკოსი	8		
საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი-ბუღალტერ-ტექნიკოსი	5		
მეწარმეობა	4	პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია	5		
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზები	7		
უცხოური ენა - ინგლისური	4	კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა	5		
ქართული ენა A2	15	საგადასახდო ვალდებულებები	7		
სამოქალაქო განათლება	2	ანგარიშგების მომზადება	3		
		ინვენტარიზაცია	4		
სულ:	32	სულ:	46	სულ:	16

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი



მისანიჭებელი პროფესიული

კვალიფიკაცია: ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა იურიდიული სტატუსის მქონე ხისა და ავეჯის საწარმოში, ავეჯის სალონებსა და მაღაზიებში, ასევე შეუძლია შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კვალიფიციური ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეუძლია ხეზე კვეთის სხვადასხვა სახეობის და საშემსრულებლო ტექნოლოგიების გამოყენებით ხის მასალისაგან სასუვენო ნაკეთობების, საყოფაცხოვრებო ნივთების, ორნამენტების და სხვა სახის ნაწარმის დამზადება როგორც ხელის ხელსაწყო-იარაღებით, ასევე დაზგა-დანადგარების მეშვეობით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ნაკეთობის ესკიზის შესრულება;
- ხელით ხაზვისა და კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ნაკეთობის ნახაზის შექმნა;
- ხის კვეთის სხვადასხვა სახეობის სასუვენო და საეკლესიო ნაკეთობების, საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება;
- ნაკეთობისთვის საჭირო მასალების შერჩევა, კალკულაცია;
- საჭირო ინსტრუმენტებისა და იარაღების შერჩევა;
- საჭიროების შემთხვევაში მარტივი პროფილის ინსტრუმენტების დამზადება;
- ნაკეთობის რეალიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 122 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

ხის მხატვრული დამუშავების მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 120

კრედიტი, რომელთაგან 22 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 80 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები, ხოლო 20 კრედიტი არჩევითი მოდულები.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 152 კრედიტი, რომელთაგან 52 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული და 15 კრედიტი ქართული ენის B1 მოდული, ჯამში 30 კრედიტი), 80 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები, ხოლო 20 კრედიტი არჩევითი მოდულები. სწავლის ხანგრძლივობა 26 სასწავლო თვე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა -ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	2	საეკლესიო ნაკეთობების დამზადება	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	12	ხის მხატვრული დამუშავება კომპიუტერული მართვის დანადგარების გამოყენებით (CNCRouter)	5
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	6	ხის ნაკეთობათა აღდგენა-რესტავრაცია	5
მეწარმეობა	5	შრომის უსაფრთხოება ხის მხატვრული დამუშავებისას	3	სასუვენრო ნაკეთობების დამზადება	5
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	ვიზუალური ხელოვნების კომპონენტები ხის მხატვრულ დამუშავებაში	6		
უცხოური ენა - ინგლისური	5	ავეჯისა და ხის ნაკეთობათა პროექტირების საწყისები	5		
სამოქალაქო განათლება	2	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	9		
		ხელით საჭრელი იარაღები	2		
		მერქნის მექანიკური დამუშავება	6		
		ხეზე კვეთის მარტივი სახეობების შესრულება (კონტურული და	4		

		გეომეტრიული კვეთა)			
		აქურული კვეთის შესრულება	3		
		რელიეფური კვეთის შესრულება	3		
		მოცულობითი კვეთის შესრულება	4		
		მოზაიკური ტექნოლოგიებით ნაკეთობების დამზადება	5		
		ხის ნაკეთობათა აწყობა- მოპირკეთება	4		
		ავეჯისა და ხის ნაკეთობათა სტილების ისტორია	3		
		ქართული ორნამენტების შესრულება	3		
სულ:	22	სულ:	80	სულ:	20
ქართული A2	15				
ქართული ენა B1	15				

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო, ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიეებში

დარგის სპეციალისტად, ასევე შეუძლია, დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

პროგრამის მიზანი: მაღალკვალიფიციური დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს სხვადასხვა სახისა და დანიშნულების დეკორატიული ქსოვილების წარმოებას, სამუშაო ესკიზის შექმნას, ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით მასალების შერჩევასა და შრომის ბაზარზე პროფესიის აქტიურად გამოყენებას. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

სპეციალისტი აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება;
- დეკორატიული ქსოვილების ესკიზის შექმნა;
- ბატიკის ქსოვილის მოხატვა;
- თექის ქსოვილის მოთელვა;
- გობელენის, ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 97 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 19 სასწავლო თვე

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 97 კრედიტი, რომელთაგან 17 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 80 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 127 კრედიტი, რომელთაგან 47 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული და 15 კრედიტი ქართული ენის B1 მოდული, ჯამში 30 კრედიტი), 80 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები. პროგრამის ხანგრძლივობა 24 სასწავლო თვე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
უცხოური ენა - ინგლისური	5	გაცნობითი პრაქტიკა - დეკორატიულ- გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	2		

რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - დეკორატიულ- გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	12		
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	პრაქტიკული პროექტი - დეკორატიულ- გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	6		
მეწარმეობა 2	2	ფანქრითა და წყლის საღებავებით ხატვა	5		
ინტერპერსო- ნალური კომუნიკაცია 1	3	ბატიკი - ქსოვილის მხატვრული მოხატვა	8		
სამოქალაქო განათლება	2	თექის მხატვრული დამუშავება	8		
		ფარდაგის ქსოვა	8		
		ხალიჩის ქსოვა	8		
		გობელენის ქსოვა	8		
		ქვილთი - ნაკეთობის მხატვრული დამუშავება (დაგვირისტება)	4		
		ქსოვილის მხატვრული ღებვა, შიბორი	5		
		ქსოვილის დაჩითვა	6		
სულ:	17	სულ:	80		
ქართული ენა A2	15				
ქართული ენა B1	15				

ფილამწყობი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სამშენებლო კომპანიაში, ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ზედაპირების ფილებით მოპირკეთებას. შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა დაეუფლოს ფილამწყობის სპეციალობისათვის საჭირო ცოდნას, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები. შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- გარემოს ორგანიზება სამუშაოების საწარმოებლად
- კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოსაპირკეთებლად
- ფილის დამუშავება
- ზედაპირის მოპირკეთება ფილებით და მოზაიკით

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 68 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 14 სასწავლო თვე

ფილამწყობის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 69 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები, 52 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 83 კრედიტი, რომელთაგან 31 კრედიტი არის ზოგადი მოდულები

საქართველო, ქ. თბილისი 0178, გურამიშვილის ჩიხი. 9ა, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“,

ტელ. 214 76 67, ელ-ფოსტა mermisicollege@gmail.com. ვებგვერდი www.mermisicollege.edu.ge

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

(მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული), 52 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები. სწავლის ხანგრძლივობა 16 სასწავლო თვე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები :

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
რაოდენობრივი წიგნიერება	2	გაცნობითი პრაქტიკა-ფილამწყობი	2		
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	საწარმოო პრაქტიკა-ფილამწყობი	8		
მეწარმეობა 1	2	პრაქტიკული პროექტი-ფილამწყობი	5		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა ფილამწყობისთვის	1		
უცხოური ენა - ინგლისური	4	სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და გაანგარიშება ფილამწყობისთვის	5		
სამოქალაქო განათლება	2	ზედაპირის ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო მასალები და ნახაზების მომზადება	5		
		ფილის დამუშავება	4		
		კედლის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	6		
		კედლის მოპირკეთება ფილებით	5		
		იატაკის მოზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	4		
		იატაკის ზედაპირის მოპირკეთება ფილებით	4		
		ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით	3		
სულ:	16	სულ:	52		
ქართული ენა A2	15				

ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოსა და მოდის ატელიეებში დარგის სპეციალისტად, ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ტანსაცმლის ესკიზის შექმნას, ინდივიდუალური და მასიური წარმოების პირობებში ტანსაცმლის მოდელების კონსტრუირების კანონებისა და წესების გათვალისწინებით სხვადასხვა სირთულის ნაწარმის შესრულებას.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა
- ტანსაცმლის ესკიზის შექმნა (ქალი, მამაკაცი, ბავშვი)
- ტანსაცმლის საბაზისო ნახაზის აგება
- ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება
- ტანსაცმლის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 107 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 20 სასწავლო თვე

ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 107 კრედიტი, რომელთაგან 11 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 96 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 137 კრედიტი, რომელთაგან 41 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული და 15 კრედიტი ქართული ენის B1 მოდული, ჯამში 30 კრედიტი), 96 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები. სწავლის ხანგრძლივობა 25 სასწავლო თვე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა-ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	2		
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა-ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	12		
უცხოური ენა - ინგლისური	5	პრაქტიკული პროექტი-ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	6		
		ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების უსაფრთხოების წესების დაცვა	1		
		ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	5		
		ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა	8		
		სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება	3		
		ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება	5		
		მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება	5		
		ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუირება	5		
		ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	7		
		ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები	6		
		ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია	7		
		ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	9		
		მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	9		
		ბავშვის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	6		

სულ:	11	სულ:	96		
ქართული ენა A2	15				
ქართული ენა B1	15				

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიეებში დარგის სპეციალისტად.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტანსაცმლის კერვას. კერვისათვის საჭირო ესკიზის შექმნას, მასალების ხელსაწყოების საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი მოწყობილობების შერჩევა/გამოყენებას, ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ დამუშავებას. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

სპეციალისტი აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- სხვადასხვა ტანსაცმლის ესკიზის შექმნა
- ქალის კაბის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება
- მამაკაცის პიჯაკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება
- ბავშვის ქურთუკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 92 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 92 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები, 60 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები, ხოლო 16 კრედიტი არჩევითი მოდულებია.

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 107 კრედიტი, რომელთაგან 31 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული), 60 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები, ხოლო 16 კრედიტი არჩევითი მოდულებია. სწავლის ხანგრძლივობა 20 სასწავლო თვე.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
რაოდენობრივი წიგნიერება	2	გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	2	საწოლისა და სუფრის თეთრეულის დამზადება	4
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	საწარმოო პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	8	სამოსის აქსესუარების კერვა	4
მეწარმეობა 1	2	პრაქტიკული პროექტი-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	5	ჯვრული ქარგვა	5
ინტერპერსო-ნალური კომუნიკაცია	3	სამკერვალო ნაწარმის დასამზადებლად გამოყენებული მასალები და ფურნიტურა	2	ნაქარგობის ტექნოლო-გიური დამუშავება	3
უცხოური ენა - ინგლისური	4	სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი მოწყობილობები	2		

სამოქალაქო განათლება	2	ტანსაცმლის დეტალების შეერთების მეთოდები	2		
		სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის ძირითადი კვანძების ტექნოლოგიური დამუშავება	3		
		მოსამზადებელ და საგამომჟღერო უბნებზე ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა	2		
		ტანსაცმლის სხვადასხვა მოდელის ესკიზის შექმნა	4		
		ქალის სათავიანი ნაწარმის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება (ქვედა-კაბა, შარვალი)	3		
		ქალის მსუბუქი კაბის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3		
		ქალის ჟაკეტის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3		
		ქალის კოფტის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3		
		მამაკაცის ზედა პერანგის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3		
		მამაკაცის შარვლის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3		
		მამაკაცის პიჯაკის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	5		
		ბავშვის კაბის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	2		
		ბავშვის შარვლისა და კომბინიზონის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური	2		

		დამუშავება			
		ბავშვის ქურთუკის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3		
სულ:	16	სულ:	60	სულ:	16
ქართული ენა A2	15				

თმის სტილისტი

სახელწოდება: თმის სტილისტი

სარეგისტრაციო ნომერი: 10106-3

